საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის

ბრძანება № 03-01/05

ქ. თბილისი 08.04.2020 წ.

2020 წლის 2 აპრილის N03-01/04 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ

2020 წლის 6 აპრილს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის გადაწყვეტილებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ შეწყვიტა შრომითი ურთიერთობა სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის (შემდეგში - „ობსერვატორია“) დირექტორის მოვალეობის შემსრულებელთან, მაია თოდუასთან.

2020 წლის 8 აპრილს ობსერვატორიაში შემოვიდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის წერილი (რეგისტრაციის N02-01/17), რომლითაც წარმოდგენილ იქნა ამავე დეპარტამენტის დასკვნა (N0604201218) ობსერვატორიის შესახებ და ობსერვატორიას ეთხოვა მასში დაფიქსირებული საკითხების გათვალისწინება შემდგომ საქმიანობაში, აგეთვე კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელი დაცვის უზრუნველყოფა.

2020 წლის 20 მარტს მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატთა შემრჩევი საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ ობსერვატორიის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს წარუდგინა ობსერვატორიის მთავარი მეცნიერი თანამშრომლების ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობებზე დასანიშნად შერჩეული კანდიდატების (5 პირი) სია შესაბამის თანამდებობებზე მათი დანიშვნის მიზნით და კენჭისყრის შეჯამებული შედეგები. შერჩეულმა კანდიდატებმა, „ობსერვატორიის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების კონკურსის წესის“ (დამტკიცებულია ობსერვატორიის დირექტორის ბრძანებით N03-01/01, 07.02.2020წ.) მე-17 მუხლის თანახმად, ობსერვატორიის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს წარმოადგინეს პირადი განცხადებები (02-03/60, 02-03/61, 02-03/66, 22.03.2020; 02-03/67, 23.03.2020; 02-03/70, 27.03.2020) შესაბამის თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ.

საქმეში არსებული ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ „საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობაზე კონკურსის შესახებ 2020 წლის 07 თებერვლის N03-01/01 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ“ ობსერვატორიის დირექტორის მიმდინარე წლის 2 აპრილის N03-01/04 ბრძანება არ შეიცავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანება N03-01/01, 07.02.2020 წ.) ბათილად ცნობის სამართლებრივ საფუძვლებს, კერძოდ იგი არ ემყარება კონკრეტულ სამართლებრივ არგუმენტებს და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების შეფასებასა და ურთიერთშეჯერებას, ამასთან, არღვევს ობსერვატორიის მთავარი მეცნიერი თანამშრომლების ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად ჩატარებული კონკურსით შერჩეულ კანდიდატთა კანონიერ უფლებებს, არ არის მსჯელობა დაინტერესებულ მხარეთა კანონიერი ნდობის უფლებაზე გაბათილებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ. შესაბამისად, დარღვეულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი, მე-60[1] მუხლის მე-4 ნაწილი, 96-ე მუხლის პირველი ნაწილი, „ობსერვატორიის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების კონკურსის წესის“ (დამტკიცებულია ობსერვატორიის დირექტორის ბრძანებით N03-01/01, 07.02.2020წ.) მე-17 მუხლის მოთხოვნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 ნოემბრის №227/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის წერილის (რეგისტრაციის N02-01/17) გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბათილად იქნას ცნობილი ობსერვატორიის დირექტორის 2020 წლის 2 აპრილის N03-01/04 ბრძანება „**საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობაზე კონკურსის შესახებ 2020 წლის 07 თებერვლის N03-01/01 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ“,** მისი ძალაში შესვლის დღიდან.
2. დაევალოს ობსერვატორიის საქმისწარმოებისა და არქივის სპეციალისტს, **მზია ბარათელ-ომიაძეს** წინამდებარე ბრძანების დაუყოვნებლივ საჯაროდ გამოცხადება ობსერვატორიის ვებ-გვერდზე: www.abao.ge, აგრეთვე, ელექტრონული ფოსტის vacancy@abao.ge გამოყენებით, დაინტერესებული პირებისთვის დაუყოვნებლივ გაცნობა.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი **რევაზ ჭანიშვილი**